

## ცალკეული საქონლის მიწოდების სპეციალური სქემა

### შესავალი

ცალკეული საქონლის მიწოდების სპეციალური სქემა გამოიყენება მეორადი ნივთების, ხელოვნების ნიმუშების, საკოლექციო ნვთების და ანტიკვარიატის მიწოდებებთან მიმართებაში, თავის მხრივ მეორადი ნივთების ცნება განმარტებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლში. რაც შეეხება დაბეგვრის წესს - აღნიშნული რეგულირდება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 161<sup>2</sup> მუხლით, ხოლო სპეციალური სქემის გამოყენების შესახებ საგადასახადო ორგანოს ინფორმირების წესს, აგრეთვე ხელოვნების ნიმუშების, საკოლექციო და ანტიკვარული ნივთების სახეებს, რომელთა მიწოდება შესაძლებელია დაიბეგროს სპეციალური სქემის მიხედვით, განსაზღვრულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის №996 ბრძანებით დამტკიცებული „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ ინსტრუქციის №III-19<sup>3</sup> დანართში და ამავე ინსტრუქციის XVI2 თავში.

### ნაწილი 1. მეორადი ნივთები

#### 1. მაგალითი 1. (მარჯა - არადასაბეგრი პირისგან შექმნა)

##### პირობა:

დასაბეგრი პირი, რომელიც შემოსავლების სამსახურში რეგისტრირებულია სპეციალური სქემით მოსარგებელე დასაბეგრი დილერების რეესტრში და შესაბამისად წარმოადგენს დასაბეგრი დილერს, არადასაბეგრი ფიზიკური პირისგან 2021 წლის მარტის თვეში ყიდულობს ექსპლუატაციაში ნამყოფ სატვირთო ავტომობილს 20'000 ლარად, რომლის რეალიზაციასაც ახდენს 22'000 ლარად 2021 წლის მაისში. აღნიშნულ ოპერაციაზე გავრცელდება სპეციალური სქემის წესები.

##### შეფასება:

დასაბეგრი პირი ვალდებულია არაუგვიანეს 2021 წლის 15 ივნისისა მაისის საანგარიშო პერიოდის დღე-ის დეკლარაციასთან ერთად საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს ინფორმაცია მის მიერ სპეციალური სქემით დაბეგრილი ოპერაციების შესახებ, სადაც ასახავს სატვირთო ავტომობილის შესყიდვის და გაყიდვის ფასს, რომლის მიხედვითაც გამოითვლება

- დღგ-ით დასაბეგრი თანხა დღგ-ის ჩათვლით  $(22'000 - 20'000) = 2'000$ ; და
- გადასახდელი დღგ -  $2'000 / 1,18 \times 0,18 = 305,08$  ლარი

გაანგარიშებული დღგ ინფორაციიდან ავტომატურად გადავა დეკლარაციის დასაბეგრი ოპერაციების დანართის შესაბამის გრაფაში და მონაწილეობას მიიღებს დღგ-ის გაანგარიშებაში, როგორც დარიცხული დღგ-ის თანხის ნაწილი.

**2. მაგალითი 2. (მარჯა - დასაბეგრი პირისგან გათავისუფლებული ოპერაციის ფარგლებში შექმნა)**

**პირობა:**

დასაბეგრი დილერი ყიდულობს საფინანსო ინსტიტუტისგან მეორად კომპიუტერს, რომელიც ბანკის მიერ გამოიყენებოდა მხოლოდ გათავისუფლებულ ოპერაციებში, შესაბამისად ბანკის მიერ კომპიუტერის მიწოდება გათავისუფლებულია ჩათვლის უფლების გარეშე სსკ-ის 171-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად. დასაბეგრი დილერი ამ კომპიუტერის რეალიზაციისას გამოიყენებს სპეციალური სქემის წესებს.

**შეფასება:**

დასაბეგრი დილერის მიერ ანგარიშგება მოხდება წინა (პირველ) მაგალითში დაფიქსირებული პროცედურების და გაანგარიშების ანალოგიურად.